№ 262 18 ქრისტეშობისთვე, სამშაბათი 1866—1879 18 ქრისტეშობისთვე, სამშაბათი № 262

რედაქცია: ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, მარცხნივ, თ. ლუარსაბ არლუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ბაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ. ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ცეროთი — 5 [illegible] 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დ საბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქცია

**გარდავიდა** ერევნის მაიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არლუთინსკის სახლებში, № 2.

[illegible]

### მომავალ 1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

### გამოცემაზედ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „**დროება**“ და ჟურნალი „**ივერია**“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

ბაზეთი „**დროება**“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სიერცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „**ივერია**“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სიერცით თორმეტი დიდი თაბახი.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „**დროების**“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არლუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

### ფასი

| | | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|---|
| „**დროება**“ და „**ივერია**“ | — | ერთად | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: „**დროება**“ | — | — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| ცალკე: „**ივერია**“ | — | — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „**დროებისა**“ ღირება — 5 კაპეიკი.
— — „**ივერიისა**“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

**რედაქტორები „დროებისა“-„ივერიისა“** { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

**ოთხშაბათს, 19 დეკემბერს** ქართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

## რაც გინახავს ველარ ნახავ!

ქომედია სამს მოქმედებად ა. ცაგარელისა.

II

## ყვავი ფარშევანგის ფრთებით.

ბოდეილი ერთ მოქმედებად გადმოკ. ვ. აბაშიძისაგან.

პირველ პიესის შემდეგ **გაბუნიას ქალი** იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7 ½ საათზე.

(3—2)

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პარიჟი, 13 დეკემბერს.** ფრეისინემ მიიღო მინდობილობა ახალი სამინისტროს შედგენისა. დარწმუნებით ამბობენ, რომ მომეტებული ნაწილი ახლანდელი მინისტრებისა, განსაკუთრებით ვ. დინგტონი და ლეონ სე, ისევ თავის ადგილზე დარჩებიანო.

**კავკასიის მთებიდამ, 15 დეკემბერს.** მოღრუბლული ტაროსია; თოვლი მოდის; მუშები სწმენდენ გზას და ამის გამო ფოჩტა თავისუფლად დაიარება.

---

## საქართველო

### დღიური

⁂ ამბობენ, ვითომც კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველს უფ. იანოვსკის ამ მოკლე ხანში ახალციხეში ყოფნის დროს, ერჩიოს იქაურ ქალაქის სამმართველოს წარმომადგენლებისთვის, რომ რადგან თქვენს ქალაქში ვერცხლის ხელობა გავრცელებული არის, ამის გამო ურიგო არ იქნებაო, რომ გამართოთ ერთი ისეთი შკოლა, რომელშიაც ყმაწვილებს კიდევ უკეთ შეეძლოსთ ამ ხელობის შესწავლა და ვერცხლის ნივთების კეთებაში განვითარებაო.

ამბობენ, ახალციხელებს ჭკუაში მოსულიათ ეს აზრი და მართლა აპირებენ ამგვარი შკოლის გახსნასაო.

⁂ ქალაქის შუშის წაბაძვით ერევანშიაც დაუწყიათ ახლა ხელის-მოწერით ფულისა და ხორბლის მოგროვება პურის სიძვირისაგან გაჭირვებულ ხალხის სასარგებლოდ. იქაურ ქალაქის თავის წინადადებითა და თაოსნობით ამ ჟამად 7,000 მანეთი მოუგროვებიათ ამ განზრახვით; 20,000 რომ მოაგროვებენ, მერე ხაზინიდამ უნდა იყიდონ იაფათ

ფქვილი და ან ეჩმიაძინის მონასტრიდგან და შემდეგ, როგორც თვითონ დაუჯდებათ, იმ ფაადეე მიჰყიდონ ღარიბ მცოვრებთა.

*** ბორიდამ გეწერენ, რომ იქაური კლუბის (ქრუჟოკის) საქმე ძალიან ცუდს მდგომარეობაში არისო, რადგან ამ უკანასკნელ წელიწადებში წევრები ცოტა ჰყავს და ამის გამო შემოსავალი მოაკლდაო.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

ქუთაისი, 14 დეკემბერს. წარსულ ნოებრის თვეში აქაურმა ქალაქის თავმა უფ. ასათიანმა წარმოადგინა ხმოსანთა (გლასნებთა) სხდომაში მომავალი წლის ქუთაისის შემოსავალ-გასავლის სია (სმეტა), რომლიდგანაც უფალმა ასათიანმა გამოაცხადა, რომ მომავალი წლის შემოსავალი არის გამგეობისაგან (უპრავისგან) ნაანგარიშებიაო 98 ათას მანეთამდეო, ხოლო გასავალი 95 ათას მანეთამდეო, ისე რომ შემოსავლიდგან კიდევ გადურჩება ქალაქსაო 3,000 მანეთამდეო.

დანიშნული იყო სხდომაში კომისსია იმ წარმოდგენილ შემოსავალ-გასავლის სიებისა შესამოწმებლად.

ამ კომისიამ განიხილა და შეამოწმა ეს სიები და წუხანდელ სხდომაში მოახსენა თუ რა და რა ცვლილება და შესწორება უნდა მოხდენილიყო მათში.

კომისიამ გამოაცხადა, რომ არათუ შემოსავალი არ მატულობს გასავალზედ სამი ათასი მანეთითა, არამედ ათი ათას მანეთამდი ვალი დაედება მომავალ წელსა ქუთაისს, აუცილებელი ხარჯების დასაკმაყოფილებლათაო.

კომისია ამ თავის ანგარიშსა ყველაზე უფრო იმაზედ აფუძნებდა, რომ უპრავა შეცდომით ანგარიშობსო და იმედოვნებსო, რომ მომავალ წელს სამოქალაქო კასსაში სრულად შემოვიდეს 25,000 მანეთი აცენოჩნი სბორი (დაფასებითი გარდასახადი), და ეგრეთვე 22,000 მანეთი ნედოიმკაო;—კომისიამ გამოაცხადა, რომ, როგორც წარსული წლების ანგარიშიდგან სჩანსო,—ნაცვლად 25,000 მანეთისა უნდა ველოდეთ 14,000 მანეთსაო, და ნაცვლად 22,000 მანეთისა მხოლოდ 12,000 მანეთსაო, ისე რომ ამ ორი რამიდგან უპრავა ელის უსაფუძველოდ 21,000 მანეთს უფრო მეტს, ვიდრე ნამდვილ შემოუვა,—ამის გამო კომისიამ გამოაცხადა ის ჰაზრი, რომ გასავლის სიაში შეტანილი ხარჯები უნდა შემცირდესო, ზოგიერთი ხარჯები 1881 წლისთვინ უნდა გადიდესო, თვით ქალაქის გამგეობის ხარჯი 15,600 მანეთი უნდა შემცირდეს 12,000 მანეთამდეო.

ამ კომისიის მოხსენებას გარჩევის დროს კრებაში მოხდა ერთი დიდი სამწუხარო უწესოება და უკადრისობა.

კომისია თხოულობდა ნებასა, რომ დასცლოდა მას დამტკიცება თავის მოხსენებისა, თავის შენიშვნებისა და უპრავისაგან შედგენილ ანგარიშების შეცდომილებისა.

უფ. ქალაქის თავი ასათიანი და მასთანვე ანტონ ლორთკიპანიძე და სისო ლოლაბერიძე თხოულობდნენ საქმე სამერმისოთ გადავდოთო, სულ ტყვილი მოუხსენებია კომისიასო.

კომისია პასუხს აძლევდა: ბატონო! დავვიმტკიცეთ ჩვენი სიცრუე და თქვენი ანგარიშების სამართლე, გამოიტანეთ ეგ თქვენი დავთრები; სირცხვილია, ბატონებო, ამ საქმის გაუთავებლობა, სირცხვილია ასე გაქცევა...

მაგრამ სადღა იყო სმენა და გაგონება!

— სამერმისოთ გადავდოთო... უკირის ანტ. ლორთქიფანიძე.

— ხმის უმრავლესობით გადავწყვეტოთ საქმე! უკიროდნენ კომისიის წევრები..

სულ იყვნენ 25 ხმოსანი.

ამ 25-ში 14-მა ისურვა ეხლავ გავშინჯოთ ეს ანგარიშები,—ხოლო 11 თხოულობდა სამერმისოთ საქმის გადადებასა.

ჯერ არ იყო საათის ათი.

უფ. ასათიანმა გამოაცხადა: „სხდომა დამიხურიაო.“

მკითხებიან: რატომ არ ნებულობთ გავაგრძოთ ამ გაუთავებელი საქმის განხილვა დღესვეო, თუ და დღეს დაგვიანებულია, ხვალაო, რომ საქმე შეეასრულოთ და ეს თქვენი ანგარიშები შეეამოწმოთ ისე, როგორც ინება უმრავლესობამ.

პასუხი იყო:

— როცა უწყებას მიიღებთ, ძაშინ მობძანდით.

ეს იმას ნიშნავდა: ამ ორ დღეში ნულარ ელით დაბარებასა, მერე დაიწყობა ახალი ხმოსანების აღმორჩევა, გაუქმდება ეს ეხლანდელი ხმოსანების უფლება, —და ამნაირად ეს საქმე გადიდება მომავალი წლისთვის, როგორც მე მსურს, და არ განიხილება ეხლა, როგორც ისურვა უმრაველესობამ.

დიდი სამწუხაროა ამისთანა ამბავი ამ ჩვენ საზოგადო საქმეების წარმოებაში.

---

## ქუთაისის ქალაქის რჩევის სხდომა

13 დეკემბერს.

ზუშინ, 13 ქრისტეშობისთვეს, ქუთაისის ქალაქის რჩევას ქონდა სხდომა, რომელზედაც განიხილეს შემდეგი ყურადღების ღირსი საგნები:

1) საყასბოს იჯარით გაცემა;

2) ბრიგოლ და ალექანდრე ბამრეკელოვების და პეტრე წულუკიძის თხოვნა—მომავალი ამორჩევებიათვის ამათ სიებში ჩაწერაზე, როგორც უკანონოთ გამორიცხულებისა, ქალაქის რჩევის გადაწყვეტილებით;

3) ბუბერსკის სამოქალაქო საქმეების პრისუტსტვიის გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც იყვნენ გამორიცხულნი ამომრჩეველთა სიიდგან იმისთანა პირნი, რომლებმაც მიიღეს ხმის უფლება მხოლოდ სიების საქვეყნოდ გამოცხადების შემდეგ;

4) ამავე პრისუტსტვიის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც იყო დარღვეული და უკანონოდ ნაცნობი ქალაქის რჩევის გადაწყვეტილება, შესახებ 26 კაცის სიიდგან გამორიცხვისა, და

5) მომავალი წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის ვალის (სმეტის) განხილვა.

ამისთანა გაცხარებული სხდომა, რომელზედაც დაესწრო 27 ხმოსანი, ჯერ ამ ოთხი წლის განმავლობაში თითქმის არ ყოფილა.

ზემო ნახსენები საგნებიდამ, 1, 3 და 4 მალე, თითქმის ულაპარაკოთ, მიიღო რჩევამ; მეორემ და მეხუთემ კი დიდძალი ხმაურობა და გაცხარებული ბაასი გამოიწვია.

პირველად განირჩა ბ. და ალ. ბამრეკელოვების და პ. წულუკიძის თხოვნა...

აი საქმე რაში მდგომარეობდა:

ამას წინათ ქალაქის რჩევამ ამომრჩეველთა სიითა გამოირიცხა 26 კაცი იმიტომ რომ, ვითომც, მათ უფლება არ ქონდათ ამორჩევებში მონაწილეობის მიღებასა, რადგანაც ამორჩევამდის ორი წლის განმავლობაში არ უხდიათ მათ ქალაქის სასარგებლოთ საეჭრო გადასახადი. ამ გადაწყვეტილებაზედ 62 კაციდგან ოთხმა შეიტანა საჩივარი ბუბერსკის პრისუტსტვიაში, რომელშიაც სთქვეს, რომ ჩვენ 1879 და 1880 წლების ხარჯი გადახდილი გვაქვს ქალაქის სასარგებლოთო. პრისუტსტვიამ მიიღო პატივდებაში მათი განცხადება, დაარღვია ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილება და დაადგინა გამორიცხული პირების მიღება.

ქალაქის ზამგეობა იმ აზრისა იყო, რომ მარტო იმ ოთხ მომჩივნების შესახებ არის ეს განჩინება დადგენილიო და სხვებზედ არ შეიძლება ამის გავრცელებაო.

ეს კითხვა განიხილა გუშინ რჩევამ ხმოსანთ შორის შეიქნა გაცხარებული ბაასი, ზოგი ამტკიცებდა ზამგეობის აზრს და ზოგი ამბობდა, რომ, რადგან ჩვენი გადაწყვეტილება დაირღვაო, მაშასადამე დარღვეულია, როგორც იმ ოთხი მომჩივნებისთვის, ისრე სხვა მთხოვნელებისთვისო.

ს მ ო ს ა ნ ი ს ი კ ო ა ბ ულ ა ძ ე. ჩემის აზრით, მათი მიღება არ შეიძლება პირველად ამიტომ, რომ საჩივრის ვადა გაუშვიათ და მეორეთ, მართალია, პრისუტსტვიამ დაარღვია ჩვენი გარდაწყვეტილება, მაგრამ თვითონ არ იცის კანონიერად ჩაიდინა ეს საქმე, თუ არა...

ხმოს. პ. თ უ მ ა ნ ო ვ ი. ჩვენი რა საქმეა კანონიერათ ჩაიდინა თუ უკანონოთ, ჩვენ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ პრიკუტსტვიის გადაწყვეტილებით: თუ იმ ოთხი კაცის შესახებ იყო უკანონო ჩვენი გადაწყვეტილება, დანარჩენების შესახებაც უკანონო იქნება.—რაც შეეხება იმას, რომ ამათ ვადა გაუშვიათ და არ უჩივლიათ, ჩვენს გადაწყვეტილებაზე, არც ამასუნდა მივაქციოთ ყურადღება, ამიტომ რომ აქ საჭირო იყო მხოლოდ „კითხვის“ ახსნა და ამისთვის სრულიად საკმაო იყო იმ ოთხი კაცის საჩივარი და რადგანაც ეს „კითხვა“ ეხლა ამათ სასარგებლოთ არის განმარტებული, ესენიც უნდა მივიღოთ.

ბ. ხ ო ჯ ა შ ვ ი ლ ი. ჩემის აზრით, რადგან ამათ ვადა გაუშვიათ და არ უჩივლიათ, ამისათვის არ შეიძლება მიღება.

ბ. თ უ მ ა ნ ო ვ ი. თქვენ რომ დაიჯინოთ არ იქნებაო, ეს საკმაო არ არის.—ბოხოვ, უფ. თავმჯდომარე, შეკრიბოთ ხმები, გავიგოთ უმეტესობას რა სურს.

თავმჯდომარემ შეკრიბა ხმები და რჩევამ ხმის უმეტესობით გადაწყვიტა მთხოვნელების მიღება.

ეს რომ გაათავეს უფ. ქალაქის თავმა ასათიანმა მოახსენა რჩევას რომ სმეტის განსახილველად ამორჩეულმა კომმისიამ წარმოადგინა ერცელი დოკლადიო და ეხლა როგორ ინებებთო.

მიანდვეს ერთ კომისიის წევრთაგანს ბ. თუმანოვს იმ დოკლადის წაკითხვა. დოკლადი ძლიერ ვრცლათ იყო დაწერილი, ასე რომ მის მოხსენებას თ. თუმანოვი თითქმის ორსაათს მოუნდა.

ამ მოხსენებიდამ ჩანდა, ვითომ, კომისიას განეხილოს ქალაქის ზამგეობის ყოველგვარი შემოსავალ-გასავლის წიგნები, ენახოს იმათში მრავალ გვარი შეცთომა და უწესობა; შემდეგ განუხილავს ქალაქის ზამგეობისაგან შედგენილი მომავალი 1880 წლის სმეტა და მოუხდენია ცვლილება: შეუმოკლებია როგორც ქალაქის შემოსავალი, ეგრეთვე გასავალი (ხარჯ).

ეს დოკლადი ჯერ რუსულად წაიკითხა და მერე ქართულად გადუთარგმნია იმ პირთ, რომლებსაც რუსული არ ესმოდათ.—

შემდგომ ამისა უფ. ქალაქის თავმა სთხოვა ნება რჩევას რამდენიმე სიტყვის თქმისა წინააღმდეგ მოხსენებული კომმისიის მოსაზრებისა:

ქ ა ლ ა ქ ი ს თ ა ვ ი ა ს ა თ ი ა ნ ი. ბატონებო, როგორც თქვენ დაინახეთ კომმისიის დოკლადი არის ძრიელ ვრცლად დაწერილი. ჩემის აზრით. ეს დოკლადი არის დაწერილი მხოლოდ ეფფექტისათვის და არა საქმის დაახლოებით გაცნობისათვის. ამაში ერთ მუხლს ეზრ ნახავთ, რომ მოუაზრებელი აზრის გამოთქმა და სიმართლის წინააღმდეგი არ იყოს ია ყოველ მუხლში ამტყუნებს ქალაქის გამგეობას (უპრავას): პირველად იმაში, რომ, ვითომ მას უწესოთ და ურიგოთ ქონდეს შედგენილი ყოველ გვარი წიგნები, მაგ. ტაბელი, კვიტანციის წიგნები და სხვა, ასე რომ იმ წიგნებიდან, ვითომ, არ შეიძლებოდეს სწორი ანგარიშის და ცნობის გაგება. მართალია, მაინც და მაინც ძლიერ საქებურათ არ გვაქვს ტაბელი, (რაშიაც ჩვენ არ ვართ დამნაშავე, ჩენც ამას ვსტირით), მაგრამ არც ისე ურიგო მდგომარეობაშია, რომ მსურველს ვერ შეეძლოს იქიდგან საჭირო ცნობების გაგება. მეორეთ კომმისია ამბობს, რომ სრულიად მოუსაზრებელათ უჩვენებია ქალაქის ზამგეობას ქალაქის წლიური შემოსავალიო;—და ძისი შეხედულებით დიდათ შეუკირბია შემოსავალი. ჩ მის აზრით, კომმისიის ამგვარი მოქმედება სრულიად უსაფუძვლო და დუკვირებელია: ჩვენ თუ შევადგინეთ წლიური შემოსავლის ჯამი, ალბათ ჩვენ რაიმე მტკიცე და კანონიერი საფუძველი გვქონია. ბავშვები ხომ არ ვიყავით, რომ დაუფიქრებლათ მოგვეყვანა ჯამი! რაც შეეხება მას, რომ ნამდვილ ის შემოსავალი იქნება, რაც ჩვენ გვიჩვენებია სმეტაში, თუ ინებებთ მე დამტკიცებას წარმოგიდგენთ. და მესამედ, კომმისია ამბობს, რომ ქალაქის გამგეობის შესანახავათ ძლიერ ბევრიაო 15,000 მანეთი და გადუწყვეტია 3,600 მანეთის მოკლება. ასე განუსაზღვრელად ამდენი ფულის მოკლება დიდათ [illegible] ლათ გადუწყვეტია კომ[illegible] არ აგვიხსნა თუ ვის აკლებს ამ ფულებს, ქალაქის თავს, ზამგეობის წევრებს, თუ ქალაქის სამმართველოში კანცელარიის გაუქმებას აპირებს!..

ბოლოს ამ სიტყვით გაათავა უფ. ქალაქის თავმა:—ერთის სიტყვით კომმისიის დოკლადი თავიდამ ბოლომდის მოუფიქრებელი და სიმართლის წინააღმდეგია. ამისათვის, ჩემის აზრით, თუ კი ამას წინათ იქისთანა უბრალო საქმეები, როგორც ბუტკების აშენება, დაუტეევა ეხლანდელმა ქალაქის რჩევამ მომავალ ახალ ქალაქის რჩევას, რომლის გადაწყვეტა ჩვენ ადვილათ შეგვეძლო და არც არავინ დაგვრჩებოდა უმადური, უმჯობესი არ იქნება, რომ ამ სმეტის განხილვა იმავე მომავალ რჩევას დაუტოვოთ და იმან განარჩიოს? მით უფრო, რომ ეს სმეტა იმას შეეხება მხოლოთ და მხოლოთ მისი სახელმძღვანელო იქნება; და თუ ამაზედ არ დათანხმდებით, ჩვენ მაინც მოგვეცით რამოდენიმე დღის ვადა, რომ წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება კომმისიის დაკლადის წინააღმდეგ.

ბ. თ უ მ ა ნ ო ვ ი. რადგან კომმისია იყო ამორჩეული ამ სმეტის განსახილავათ, მე ვთხოულობ ეს სმეტა ახლავე იქნეს დამტკიცებული და განხილული და მომავალ ქალაქის რჩევას მზათ გადავცეთ.

ა ნ ტ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ჩემდასამწუხაროთ, მეც ვიყავი კომმისიაში ამორჩეული, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ დავესწარი.—ეხლა, როგორც დავრწმუნდი, ეს დოკლადი სინიდისის წინააღმდეგ არის შემდგარი, და ამიტომ არ ვეთანხმები მას. ჩემი აზრიც ეს არის, სმეტის განხილვა დაუტეოთ მომავალ ქალაქის რჩევას.

ქ. ქ ვ ა რ ი ა ნ ი.—უფ. ლორთქიფანიძე, თქვენ რომ ეგრე გაცხარებული ლაპარაკობთ ეხლა და კომმისიის მომჩივნათ გამოჩნდით, რატომ კომმისიაში არ მოდიოდით და იქ არ ლაპარაკობდით?

ა ნ ტ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დროც რომ მქონოდა, მაინც არ მოვიდოდი ამიტომ რომ კერძო სახლებში არ უნდა ყოფილიყო კომმისიის სხდომები. თუ გინდოდათ საქმის კარგათ გამოკვლევა, აქ უნდა მოსულიყავით, გაგეშინჯათ, ყოველგვარი წიგნები, შეგეკრიბათ საჭირო ცნობები და მაშინ მეც მოვიდოდი,—თორემ კერძო სახლებში მხოლოდ მაგისთანა მოსაზრების შედგენა შეიძლება, როგორიც ეხლა შეგიდგენიათ კომმისიის წევრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Კოსტა ხარაზოვი. აქ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო... მე რომ ვყოფილვიყავი, არც მაგტელა დოკლადს შევადგენდი. აქ არის ორი საქმე: ერთ ჩოტკს მარჯვნივ დავიდებდი და მეორეს მარცხნივ და ამითი გავათავებდი...

Ანტ. Ლორთქიფანიძე.—არა, ორი კი არა მესამე საქმეც არის. ის უმჯობესი იქნებოდა, რომ ყველანი გულზედ ხელს დავიდებდეთ და აქ წარმოვთქვამდეთ იმას, რაც კი გულში გვაქვს.

ქალაქის თავი.—ახლა როგორ ინებებთ: გადადებთ ამ სმეტის განხილვას და დამტკიცებას; თუ ეხლავე შეუდგებით?

Სიმონ Ლღაბერიძე. გადავდეთ და ქალაქის გამგეობას მოვთხოვოთ კომმისიის დოკლადის წინაალმდეგ თავის გამართლება.

3. Თუმანოვი.—უყარეთ კენჭი შემდეგ კითხვებს: დარჩეს სმეტა განუხილავი ამორჩევების გათავებამდის, თუ ეხლავე განირჩეს.

ქალაქის გამგეობის წევრი Ივანე Мესხი.—ბატონებო, ამ სმეტას ეხლა ნუ დაამტკიცებთ, ამიტომ რომ კომმისია ბევრ რამეში ამტყუნებს და კიცხავს ქალაქის გამგეობას, ამისათვის მინამ დაამტკიცებდეთ, მოგვეცით ნება პასუხი წარმოვადგინოთ კომმისიის უკანონო მოსაზრებებზე.

3. Თუმანოვი. პასუხების მოთხოვნაში დიდი დრო გავა და უსარგებლოც იქნება. ჩემის აზრით უმჯობესი იქნება, მინამ ამორჩევები დაიწყება, განუწყვეტელს სხდომებზე განვიხილოთ და დავამტკიცოთ.

ხანგრძლივი ბაასის შემდეგ რჩევამ ხმის უმეტესობით გადაწყვიტა სმეტის ახლავე განხილვა.

Ამით გათავდა 13 ქრისტეშობისთვეს სხდომა.

ეს სხდომა, სხვათა შორის, იმითაც იყო შესანიშნავი, რომ იმაზედ იმისთანა ხმოსანები მოსულიყვნენ, რომელნიც ერთობ ძვირათ დაბრძანდებიან და არც ისე მოწყალის თვალით უყურებენ, ეხლანდელ ქალაქის გამგეობას და ამის მოქმედებას. Ამათი შემხედვარე დარწმუნდებოდა, რომ ესენი რაღაცა განძრახვით მოსულან თითქმის მოერეკოს ვისმეო. ვის უნდა ქონოდა ნეტავი ამათი მორეკის ინტერესი, თუ არა კომმისიის წევრებს!

ეს გახლავთ დასაწყისი ნიმუში იმ ოინებისა, რომლის მზგავსებსაც მრავალს უნდა მოველოდეთ ამ მომავალ ქალაქის Аლრჩევის დროს.

Ალ. Გამრეკელოვი.

14 Დეკემბერს.

# ГАЗЕТЫ

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1880 ГОДЪ

НА ЕЖЕДНЕВНУЮ, БЕЗЦЕНЗУРНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ И ОБЩЕСТВЕННУЮ ГАЗЕТУ

## „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“

Газета будетъ выходить ежедневно, въ форматѣ нашихъ большихъ газетъ, по слѣдующей программѣ: постановленія и распоряженія правительства; телеграммы; обзоръ политическихъ событій и общественной жизни; обсужденіе вопросовъ дня; военныя извѣстія; мнѣнія русской и иностранной печати по данному вопросу и сущность руководящихъ статей; иностранныя извѣстія по русскимъ и заграничнымъ источникамъ; извѣстія изъ славянскихъ земель. Жизнь Россіи: наши домашнія дѣла; корреспонденціи; народное образованіе; внутреннія извѣстія; хроника; хроника научная, литературная и художественная; театральныя и музыкальныя извѣстія; судебная хроника. Историческій листокъ; разныя извѣстія; биржевыя, железно-дорожныя, торговыя, и др. свѣдѣнія; справочныя извѣстія.

Подписная цѣна съ пересылкой и доставкой въ Москвѣ и на города:

| | |
|---|---|
| На годъ | 6 руб. |
| „ полгодъ | 4 „ |
| „ 3 мѣсяца | 3 „ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ |

За границу плата вдвое.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ Москвѣ, въ конторѣ редакціи газеты „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“, Столешниковъ пер. д. Рожнова; въ конторѣ изданія газеты—у Москворѣцкаго моста, въ д. Н. П. ЛАНИНА, въ его конторѣ и у всѣхъ извѣстныхъ книгопродавцовъ Москвы; С.-Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ Исакова и картографическомъ заведеніи Ильина.

Гг. иногородные благоволятъ адресовать свои требованія исключительно въ контору изданія газеты „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“—Москва, Москворѣцкій мостъ, домъ Ланина, при его конторѣ. (6—3)

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება **„რწმუნებულებულ დამყარებულ ამხანაგობამ“** ფირმით

**სავაჭრო სახლი**

# ИАГОРЪ КАСУМОВИ ДА КАМП.

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმოების წარმატება

**თავნი ფული სავაჭრო სახლისა „ИАГОРЪ КАСУМОВИ ДА КАМП.“ უნდა იქმნეს**

# 750,000 მანეთი

ეს ფული შესდგება პირველი ხარისხის (რაზრიადის) პაის 1000 მან. თან-და-თან შემოტანით.

მეორე ხარისხის პაები ღირს: 500, 100, 50 და 25 მანეთი.

**ამ თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:**

1) ბაასესხებს ფულს იმ პირობით, რომ ფულის ამღებმა თან-და-თან გადაიხადოს ვალი.

2) მიიღებს შესანახად და სასარგებლოთ დროებით შეტანილს ფულს და

3) იკისრებს და შეასრულებს ისეთს სავაჭრო-საწარმოო საქმეებს, რომელნიც ამხანაგობას ღონის-ძიებას მისცემენ, რომ ქ. თფილისის მცხოვრებთათვის გაიაფოს ყოველგვარი აუცილებელად საჭირო საგნები (ხორაგეული და სხვ.).

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა გამართულია თ. თუმანოვების სახლში, Аლექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ.

კანტორა ღია არის: დილის 7 საათიდამ ნაშუადღეის 2 საათამდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ; უქმ დღეებში კი დილის 7 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.